საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

N 22
25/04/2019

22-07-4-201904251418

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №22
2019 წლის 25 აპრილი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთში სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

გამომდინარე, გრიგოლეთის სანაპირო ზოლში ქვიშის მაგნიტური ანომალიის დადასტურებისა, რის გამოც განუზომლად გაიზარდა დასახლების სამკურნალო ტურიზმის პოტენციალი

და რათა მიღწეული იქნეს ხალხის ჯანმრთელობის რაც შეიძლება მაღალი დონე,

ასევე, „2017-2021 წლების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთის სანაპიროს მდგრადი განვითარების ინტეგრირებული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ნოემბრის N74 განკარგულებაში განსახორციელებელი ცვლილებების მნიშვნელობიდან,

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ მიზანშეწონილია შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ე“ პუნქტის, 29-ე მუხლის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების შესაბამისად,

მუხლი 1. გრიგოლეთის სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ამირან გიგინეიშვილი - საკრებულოს წევრი, დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;

2. გიორგი გვარჯალაძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი;

3. გიორგი ჩახვაძე - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი;

4. ალექსანდრე მახათაძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი;

5. ემზარ თევდორაძე - საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი;

6. ვერიკო კვირკველია - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი;

7. ბესიკ კუპრაძე - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი;

8. კახა ბოლქვაძე - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე, ჯგუფის წევრი;

9. ზურაბ კუკულავა - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების" თავმჯდომარის მოადგილე, ჯგუფის წევრი;

10. იოსებ ჩხაიძე - საკრებულოს ფრაქცია „ძალა ერთობაშია" თავმჯდომარის მოადგილე, ჯგუფის წევრი.

მუხლი 2. სათათბირო ხმის უფლებით დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრად მოწვეულ იქნენ:

1. მაია აფხაზავა - მერიის ეკონომიკისა და ქონების სამსახურის ეკონომიკისა და ტურიზმის განყოფილების უფროსი;

2. შუქრი თავართქილაძე - პროფესორი;

3. მამუკა გვილავა - შავი ზღვის საერთაშორისო კომისიის სანაპიროს ინტეგრირებული მართვის წარმომადგენელი საქართველოში;

4. აკაკი კვაჭაძე - გრიგოლეთის საერთო კრების რჩეული.

მუხლი 3. დროებითი სამუშაო ჯგუფი შეიქმნას სამი თვის ვადით. ამ ვადაში სამუშაო ჯგუფის წევრებმა წარუდგინოს წინადადებები საკრებულოს სოფელ გრიგოლეთის სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით.

მუხლი 4. დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ამოწურვის შემდეგ ჯგუფის წევრებმა საკრებულოს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ და წინადადებები სოფელ გრიგოლეთის სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით.

მუხლი 5. დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ უსასყიდლოდ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი" მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 7. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო